ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N20

22.12.2023
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, გია ბასილაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ელეონორა არჩაია, ქეთევან ხურციძე, გრიგოლ შუშანია.

სულ 9 წევრი.

არ ესწრებოდა: ირაკლი შენგელია, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, ანა კოხრეიძე, ნინო ბიბილაშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

აუტისტი ბენეფიციარების მშობლები: თეონა მელიქაძე, ქრისტინე შენგელია, ქრისტინე ხუციშვილი, თეონა ჭელიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლიკა ჩახუნაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა რიჟამაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი:

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ბატონ ვარლამ გობეჯიშვილის 9 თვის ანგარიში ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

პირველ საკითხს წარმოგვიდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

ვარლამ გობეჯიშვილი: მოგესალმებით, წარმოგიდგენთ, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს: პროგრამის დასახელება: ჯანმრთელობის დაცვა, პროგრამის ბიუჯეტი 2319.2 ლარია, პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის დასახელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 370.2, ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „c" ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, „COVID–19"-ის გავრცელების მართვა და ეპიდზედამხედველობა, განსაკუთრებით საშიში დაავადებების მონიტორინგი და ზედამხედველობა. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ქვეპროგრამის დასახელება მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 250.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები; მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები; ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეები; მარჩენალგარდაცვლილის სტატუსის მქონე პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები. ბენეფიტი

მოსარგებლეთათვის გაიცემა მხოლოდ ერთი საფუძვლით. ბენეფიციარებისთვის, გარდა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტებისა, დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასახელება სამედიცინო დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1520.0 ლარია , ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის მიზანია სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და სხვადასხვა შემთხვევების შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელებაეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 35.0 ლარი, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიცირზე ინდივიდუალურად ფორმა N100–ის მიხედვით, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, აღნიშნული პროგრამით არ დაფინანსდება ის ანტიკონვულსანტები, რომლებიც გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ამავე პროგრამაში დაწესებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაუფინანსდება მედიკამენტები შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისას. ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება არაუმეტეს 210 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით.

ქვეპროგრამის დასახელება ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 144.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერაქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიის და ცელიაკიის დიაგნოზის მქონე პირები. არასრულწლოვან პირებს მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 300 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილის შესახებ სამოქალაქო რეესტრიდან, ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან და ფორმა N100 სამედიცინო დაწესებულებიდან ერთჯერადად, პირველი მომართვისას.

პროგრამის დასახელება სოციალური უზრუნველყოფაპროგრამის ბიუჯეტი 6488.4 ლარია, პროგრამის აღწერა: პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას

ქვეპროგრამის დასახელებასოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფაქვეპროგრამის ბიუჯეტი 70.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. N40–ში და გუგუნავას ქ. N12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისების ბენეფიციართა მიერ დახარჯული ელექტროენერგიის თანხა ანაზღაურდება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, ლიმიტის- 60 ლარის ფარგლებში თითოეული აბონენტისთვის თვეში.

ქვეპროგრამის დასახელება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაქვეპროგრამის ბიუჯეტი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1115.0, ლარია,

ქვეპროგრამის მიზანი ქალაქის დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება და დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელება სარიტუალო დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10.0, ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ", „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს: ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19" დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას გარდაცვლილის ოჯახის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასკვნა სამედიცინო დაწესებულებიდან.

ქვეპროგრამის დასახელება, სოციალური ღონისძიებები, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 903.0 ლარია, ქვეპროგრამის მიზანი: ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება: სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაქვეპროგრამის ბიუჯეტი 165.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქუთაისში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. ბენეფიციარებს ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება წლიური ლიმიტის მიხედვით შემდეგნაირად: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს - 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს - 96 ლარი, რვა და მეტ წევრიან

ოჯახებს - 120 ლარი. თანხები გადანაწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად, რომელიც აუნაზღაურდება მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელექტრო ენერგიის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის /„ეპ ჯორჯია მიწოდება"/ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. ბენეფიციარები საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულებისაგან /სულზე 1 ლარი/ თავისუფლდებიან. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, მემორანდუმის ფარგლებში მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ელექტროენერგიის აბონენტის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება ბენეფიციარის განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ეპ ჯორჯია მიწოდებას" მიერ გაცემული აბონენტის ნომერი /ქვითარი/, სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

ქვეპროგრამის დასახელება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომაქვეპროგრამის ბიუჯეტი 170.0ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა" და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის" მომსახურებიდან, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, მატერიალური დახმარების გაწევა;ასევე, ჰემოდიალიზზე მყოფი პირების /პაციენტები/, სამედიცინო დაწესებულებაში მუდმივად ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის დასახელება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა ქვეპროგრამის ბიუჯეტი 145.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა" და „დღის ცენტრის" მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე : ა) 0-5 წლის ბავშვები; ბ) 6 - დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000- ს. მათთვის უმთავრესი საჭიროების ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ: ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით უზრუნველყოფა. დახმარების მთხოვნელი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან" ცნობას აღნიშნული შშმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა" და „დღის ცენტრის" სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშ–ფაქტურას აფთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად გაიცემა 60 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.

ქვეპროგრამის დასახელება უფასო კვება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 976.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად

ქვეპროგრამის დასახელება კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 18.0 ლარია,. ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაეწევათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95.0 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – 150.0 ლარის ოდენობით. დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადების მომართვის თვიდან საგარანტიო წერილის საშუალებით, რომელიც გაიცემა თვეში ერთხელ ელემენტის ღირებულების ანაზღურების და ექვს თვეში ერთხელ პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე. ბენეფიციარის 18 წლის შესრულების შემთხვევაში დახმარება შეწყდება ასაკის შესრულებიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარება გაიცემა განცხადებასთან ერთად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. დახმარების მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: ა) მშობლის/უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობა; ბ)არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობა; გ) არასრულწლოვანი პირის ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი; დ)ფორმა №100 შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.
ქვეპროგრამის დასახელებაავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომაქვეპროგრამის ბიუჯეტი 65.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 0–18 წლამდე ასაკის პირები. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადებით მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით

ქვეპროგრამის დასახელება შინმოვლა, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 75.0, ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 100001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები (შემდგომ – მოსარგებლე), რომელთათვისაც უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულა (შემდგომ – ბართელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. ვაუჩერული წესით მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას.

ქვეპროგრამის დასახელება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის ბიუჯეტი1755.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – 17 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD–10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“; „F84.9“), სარეაბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS–2“ ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურში, მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს: მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალურ – ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მიმწოდებელ ორგანიზაციებზე ვაუჩერული მეთოდით, სრულად, თითოეულ ბენეფიციარზე თვეში 420 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასახელებაშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 35.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესის შესაბამისად შეირჩევა სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტები. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, დებულებასა და კონკურსის პირობებს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი. სადაც ასახული იქნება ინფორმაცია პროექტის შესახებ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.kutaisi.gov.ge. განთავსდება ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი განაცხადები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ დათქმულ ვადებში. თანამშრომლობა გამარჯვებული პროექტის ავტორსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ფორმდება მემორანდუმის სახით, სადაც ნათლად იქნება ასახული მხარეთა ვალდებულებები. მხარეებს შორის მემორანდუმი გაფორმდება მას შემდეგ რაც კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის საფუძველზე, რომელიც გაფორმდა ოქმის სახით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი,

შერჩეული პროექტისათვის დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე. ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება.
ქვეპროგრამის დასახელება შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობაქვეპროგრამის ბიუჯეტი 82.2 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დღის ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება. ასევე 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა - 46,2 ლ. 2024 წლის განმავლობაში დაფინანსების /თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურებისა და ქვითრების შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე. ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს თვის კომუნალურ ხარჯს ჯამურად 300 ლარამდე, ზაფხულის თვეებში დაფინანსდება არაუმეტეს 150 ლარისა, ხოლო ზამთრის თვეებში კი წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს 300 ლარისა. 300 ლარს ზემოთ წარმოდგენილი კომუნალური ხარჯის შემთხვევაში, ზაფხულის თვეებში დაფინანსდება არაუმეტეს 300 ლარისა, ზამთრის თვეებში /დეკემბერი, იანვარი, თებერვალი/ კი ფაქტიური ხარჯის მიხედვით არაუმეტეს 600 ლარისა.

ქვეპროგრამის დასახელება მარტოხელა მშობელთა დახმარებაქვეპროგრამის ბიუჯეტი 45.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერაქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტრო ენერგიის, წყალის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 30 ლარის ოდენობით. აქედან, ელექტრო ენერგიის გადასახადის თანადაფინანსება ოჯახზე განისაზღვრება ყოველთვიურად 12 ლარის ოდენობით; ბუნებრივი აირის გადასახადის ანაზღაურება ოჯახზე მოხდება ყოველთვიურად – 15 ლარის ოდენობით, წყლის გადასახადის ღირებულება ოჯახზე განისაზღვრება 3 ლარის ოდენობით. მოხმარებული გადასახადების ღირებულების ანაზღაურება/თანადაფინანსება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით.
ქვეპროგრამის დასახელებაოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებაქვეპროგრამის ბიუჯეტი 4.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები - დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა მატერიალური დახმარება თვეში 200 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასახელება საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის" დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი 30.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფელს" შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, მოხდება საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის /„დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება"/ დაფინანსება, რომლის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება: კვება, და ჰიგიენური საშუალებები; ყოველთვიურად არაუმეტეს 20 ბავშვისა.

ქვეპროგრამის დასახელება„HER–2" რეცეპტორ - დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტებით დახმარებაქვეპროგრამის ბიუჯეტი 95.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ დიაგნოზის მქონე პირთა სიცოცხლის გახანგრძლივება/განკურნება. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ადრეული ძუძუს „HER–2" რეცეპტორ-დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც სარგებლობენ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებით: ჰერცეპტინი /ტრანსტუზუმაბი/, პერჯეტა /პერტუზუმაბი/ და ფესგო. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი, ფორმა №100 და ანგარიშ–ფაქტურა აფთიაქიდან. დახმარების მიღება განხორციელდება არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე საგარანტიო წერილის გამოყენებით. თითოეულ შემთხვევა დაფინანსდება არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის დასახელება გადაუდებელი რეაგირებაქვეპროგრამის ბიუჯეტი 450.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას.
ქვეპროგრამის დასახელებამხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენაქვეპროგრამის ბიუჯეტი 10.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური/ხმოვანი აპარატების შეძენა.

ქვეპროგრამის დასახელებაგენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფაქვეპროგრამის ბიუჯეტი 1 0.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა
ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი ქალების, კერძოდ: გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისთვის ფსიქიატრიული სერვისების მიწოდება. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას.

ქვეპროგრამის დასახელებასოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 5.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებში, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -სს , 2024 წელს შეძენილ თითოეულ შვილზე გაეწევა მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის დასახელება ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 130.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე. ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას, მათთვის მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისთვის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის დასახელებაბავშვის განვითარების ხელშეწყობა, ქვეპროგრამის ბიუჯეტი 20.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები ბავშვების კოგნიტური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება ბავშვის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით – ადრეული და შუა ასაკის ბავშვებისათვის ბავშვის განვითარების ხელშემწყობი საშუალებებით. თითოეული ბენეფიცისრისთვის დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 150 ლარის ღირებულების განმავითარებელი საშუალებებით.
ქვეპროგრამის დასახელებაპირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარებაქვეპროგრამის ბიუჯეტი 85.2 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 0 - დან 18 წლამდე პირთა ფინანსურ დახმარებას, მკურნალობისთვის საჭირო, ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. დახმარება განისაზღვრება თითოეულ ბენეფიციარზე თვეში 100 ლარის ოდენობით/ასი.
ქვეპროგრამის დასახელება გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა ქვეპროგრამის ბიუჯეტი 20.0 ლარია, ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამით ისარგებლებენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მარტოხელა პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გლაუკომით დაავადებული პირები. ბენეფიციარები დახმარებით ისარგებლებენ წელიწადში ორჯერ, 50 ლარის ღირებულების მატერიალიზებული ვაუჩერით.

შეტანილ იქნეს ცვლილება კერძოდ:

ა) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ფრაზიდან: „ერთიანი საჭიროების შემთხვევაში“ ამოღებულ იქნეს სიტყვა: „ერთიანი“; აქვე,

სიტყვების: „თვეში არაუმეტეს 20 სეანსისა“ შეიცვალოს სიტყვებით: „თვეში 20 სეანსი“; „გ“ ქვეპუნქტის წინ, ამოღებულ იქნეს წინადადება: „ალტერნატიული თერაპიების ხანგრძლივობა განისაზღვრება ასევე ბენეფიციარის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, თითოეული სეანსის უშუალოდ ბავშვთან მუშაობის საქართველოში და საერთაშორისოდ აღიარებული ხანგრძლივობის დაცვით.“; ქვეპროგრამაში, ყველგან სიტყვები: „გამოყენებითი ქცევითი“, შეიცვალოს სიტყვებით: „ქცევის გამოყენებითი“; სიტყვა: „მეთოდოლოგიების“ - სიტყვით: „ინსტრუმენტების“: სიტყვები: „თერეაპიის/ინტერვენციის სახე“ - სიტყვებით: „თერეაპიის/ინტერვენციის ტიპი“; ამავე ქვეპროგრამიდან ამოღებულ იქნეს წინადადება: „წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს: 1) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 70%-სა; 2) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 60%--სა; 3) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.“ წინადადება: „ინტერვენციის სიხშირე ცვალებადობს 20 საათამდე თვეში და მოიაზრებს ბენეფიციარისათვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მზრუნველის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით.“, შეიცვალოს წინადადებით: „ინტერვენციები მოიაზრებს ბენეფიციარისათვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მზრუნველის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით.“ ფრაზის „მისი გაზრდა/შემცირება/შეწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე“ შემდეგ, ჩაემატოს ფრაზა: „დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხსა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებაზე, რაც თანხმდება მშობელთან /მზრუნველთან/ მეურვესთან. აქვე, ამოღებულ იქნეს სიტყვები: „მზრუნველის გადაწყვეტილებაზე“; წინადადებაში: „ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სეანსების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში 420 ლარი“, ჩაემატოს რიცხვი: „20“ და აღნიშნული წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული 20 სეანსის დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული

ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში 420 ლარი." ფრაზა: „ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი", შეიცვალოს ფრაზით: „საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ბაზისური თეორიული კურსი 40 საათის ხანგრძლივობით";

ბ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ქვეპროგრამიდან ამოღებულ იქნეს ფრაზა: „ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული".

ქვეპროგრამაში „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება" ქვეპროგრამის აღწერის პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა მატერიალური დახმარება თვეში 200 ლარის ოდენობით."

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ბატონ ვარლამ გოგეჭიშვილის 9 თვის ანგარიში ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

2023 წლის 9 თვის ანგარიში (იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით) მოქმედი ქვეპროგრამების მიხედვით

2023 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური ახორციელებს 31 ქვეპროგრამას. დახმარებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შშმ პირები, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანეთის ომის ვეტერანები, 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ქართულ ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები, შშმ ვეტერანები, ,,60+" ხანდაზმულთა კლუბის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები.

2023 წლის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს ,,ქ. ქუთაისის მუნუციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტის“ შესახებ ქ.ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილების საფუძველზე.

2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 6 534 200 ლარს.

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში დაიხარჯა 4 475 048 60 ლარი (68.4 %)

საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 10 200 განცხადება (წერილი) .

1 „სამედიცინო დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1500000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკის და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურებას.

დახმარებით ისარგებლა 2497 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 104055422 ლარი (69 %).

1. „მედიკამენტებით უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 229 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები (ისარგებლა 319 ბენეფიციარმა); ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები (ისარგებლა 3 ბავშვმა); ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები (ისარგებლა 27 პირმა); მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ისარგებლა 84 ბენეფიციარმა); ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები (ისარგებლა 97 ერთეულმა ბენეფიციარმა).

დახმარებით ისარგებლა სულ 530 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 17965430 ლარი (78 %).

3.,,ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა”

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 40000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები.

დახმარებით ისარგებლა 48 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1974091 ლარი (49 %).

4. „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 126 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე, ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ არასრულწლოვან პირებს, მატერიალური დახმარება გაეწიათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 300 ლარის ოდენობით .

დახმარებით ისარგებლა 38 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 88840 ლარი (71 %).

5. „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 50000 ლარი.

ქვეპროგრამით განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის N40–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიის თანხა ანაზღაურება ხდება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით ლიმიტის ფარგლებში.

დახმარებით ისარგებლა 95 ოჯახმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3210407 ლარი (64 %).

6. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1100000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა მრავალშვილიანმა 670 ოჯახმა, მათ შორის:

მეოთხე და მომდევნო ბავშვის შეძენაზე დახმარებით ისარგებლა 28 ოჯახმა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 195 მრავალშვილიანმა ოჯახმა.

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელ.ენერგიის თანადაფინანსებით მიმდინარე პერიოდში ისარგებლა 162 ოჯახმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 740290 ლარი (67 %).

7. „სარიტუალო დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქ. ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19" დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 4500 ლარი (45 %).

8. „სოციალური ღონისძიებები "

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 751000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას.

დახმარებით ისარგებლა 4205 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 697510 ლარი (93 %).

9. ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 150000 ლარი.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგის ღირებულების თანადაფინანსება, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

დახმარებით ისარგებლა 2463 ოჯახმა, რომელიც შეადგენს 6890 ბენეფიციარს.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 98646 ლარი (66 %).

10. ,,განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 170000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარს, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში და

სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს, თვეში 200 ლარს.

ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში გაიცემა 200 ლარის ოდენობით.

ჰემოდიალიზზე მყოფ პირს, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს.

დახმარებით ისარგებლა 137 ბენეფიციარმა, მათ შორის 118 ჰემოდიალიზზე მყოფი პირი და რეინტეგრირებული 19 ოჯახი - 22 ბავშვი.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 104900 ლარი (62 %).

11. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 145000 ლარი.

დახმარებით სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით - „ბავშვთა ადრეული განვითარების" და „დღის ცენტრის" მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება თვეში 60 ლარის ღირებულების, ჰიგიენური საფენებისა და სველი სალფეთქების შეძენა.

დახმარებით ისარგებლა 255 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 10177381 ლარი (70 %).

12. „კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 18000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, აბსოლიტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქ. ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, ბენეფიციარს გაეწია დახმარება.ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება – თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 945050 ლარი (53 %).

13. ,,ავთვისებიანი სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 60 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ პირებს, გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 25 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 43200 ლარი (72 %).

14. ,,შინმოვლა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 70000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები /შემდგომში - მოსარგებლე/, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის" მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/ და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

დახმარებით ისარგებლა 139 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 55115 ლარი (79 %).

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 14700000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/ მცხოვრებ 2-17 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9).

ქვეპროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 352 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 922887 ლარი (63 %).

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 250000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

კონკურსი გამოცხადდა 3 ეტაპად. შემოსული იყო 3 საკონკურსო განაცხადი, გამარჯვებული კონკურსანტი არ გამოვლენილა.

დაიხარჯა 0 ლარი.

17. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 64200 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 8 ორგანიზაციისათვის /მათ შორის 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციართა ტრანსპორტირების, განმავითარებელი და სხვა საშუალებების ხარჯების ანაზღაურება - სულ: 17664.47 ლარი/, თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება.
დახმარებით ისარგებლა 8 ორგანიზაციამ.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 2607067 ლარი (41 %).

18. „მარტოხელა მშობელთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 35000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტროენერგიის, წყალის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინასება 30 ლარის ოდენობით. ,,სოციალური ღონისძიებების“ ფარგლებში ბენეფიციარებს საჯდგომოდ გადაეცათ100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათები.

დახმარებით ისარგებლა 134 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 25230 ლარი (72 %)

19. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 4000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსურ დახმარება.

დახმარებით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1800 ლარი (45 %).

20. „საქართველოს „SOS" ბავშვთა სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 30000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს" შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ხდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის /„დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება"/ დაფინანსება, რომლის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება: კვება, და ჰიგიენური საშუალებები;

დახმარებით ისარგებლა 26 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 17 243 31 ლარი (57 %).

21. ,,ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 95000 ლარი.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები.
დახმარებით ისარგებლა 29 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 62400 ლარი (66 %).

22. ,,გადაუდებელი რეაგირება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 200000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების სერვისი მიეწოდებათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ფაქტიურად მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთა წევრები საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას.

დახმარებით ისარგებლა 180 ბენეფიციარმა მათ შორის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაეწია მატერიალური დახმარება 105 ბენეფიციარს, ხოლო 75 ბენეფიციარს გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით გაეწიათ სხვადასხვა სახის დახმარება.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9201291 ლარი (46 %).

23. ,,მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების - ხმოვანი წნევის აპარატები /53 ცალი/; შაქრის საზომი აპარატები /23 ცალი/ - შეძენა.

დახმარებით ისარგებლა 73 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9950 ლარი (100 %).

24. ,,გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა"
ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10000 ლარი.

ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას. ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „წამების მსხვვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი" /GCRT, რომელიც პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა" ფარგლებში განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებითვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას. კერძოდ: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც განხორციელდება ქუთაისის მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განისაზღვრება 10000 /ათი ათასი/ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვა: სერვისში რეფერირებას მოახდენს განმახორციელებელი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური, ხოლო ამის შემდგომ GCRT-ის ქუთაისის სარეაბილიტაციო გუნდი იმოქმედებს შესაბამისად.

დახმარებით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 5000 ლარი (50%).

25. ,,სოციალურად დაუცველი ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების მხარდაჭერა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 3000,00 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას.

დახმარებით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1500 ლარი (50 %).

26. ,,მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 5000 ლარი

ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ სურვილი, ან უკვე ეწევიან მიკრო, ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.. თანხა ბენეფიციარებზე გადანაწილდება პროექტის ღირებულებისა და თანაფარდობის პრინციპით.

დაიხარჯა 0 ლარი.

27. ,,სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 60000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.
ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ. ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს.
აბიტუტიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები.

დახმარებით ისარგებლა 33 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 33300 ლარი (56 %).

28. ,,შშმ პირთა საერთაშორისო დღე"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10000 ლარი.

დაიხარჯა 0 ლარი.

29. ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 86000,0 ლარი.

ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანია, „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფიდან, სულ მცირე, ორს მაინც აკმაყოფილებს:

- სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 120 001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები;
- გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები /სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე/;
- ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს;
- ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი /სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე/;
- ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია;

ქვეპროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს „მრავალშვიანი ოჯახების მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტების მოსარგებლე.

ქვეპროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ, ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებთან ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომებით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება.

დახმარებით ისარგებლა 8 ოჯახმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 61376,40 ლარი (71 %), (2022 წლის თანხა, რომელიც ჩაირიცხა მიმდინარე წელს).

30. ,,ბავშვის განვითარების ხელშეწყობა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 30000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვები.

სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება ბავშვის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით - ადრეული ასაკის ბავშვებისათვის /0-დან 6 წელი/ და შუა ასაკის ბავშვებისათვის /7-დან 14 წელი/ - ბავშვის განვითარების ხელშემწყობი საშუალებებით. ოჯახზე გაიცემა 150 ლარის ღირებულებების ერთი ვაუჩერი.

დაიხარჯა 0 ლარი.

31. ,, ონკოლოგიური პაციენტების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ონკოლოგიურ პაციენტებში სტრესის შედეგად გამოწვეული მდგომარეობის მხარდაჭერა/მართვა. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ონკოლოგიური პაციენტები. თანამედროვე ონკოლოგია მოიაზრებს მკურნალობის პროცესში პაციენტის მიმართ ჰოლისტურ მიდგომას, რათა მოხდეს მუდმივი სტრესის შედეგად ონკოპაციენტებში განვითარებული მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების მართვა. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს ფსიქო-ონკოლოგიის საზოგადოება". ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებას 6 სეანსის გავლით მიიღებს 4 ბენეფიციარისგან შექმნილი 20 ჯგუფი, სულ არაუმეტეს 80 ბენეფიციარისა.

დაიხარჯა 0 ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2023 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში მიღებული იქნა 94 განცხადება და შეფასებული იქნა ბავშვი 173. მათ მიმართ

გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები, კერძოდ:

,,გადაუდებელი რეაგირების პროგრამის" ფარგლებში განაცხადი გააკეთა 45 მოქალაქემ, ვერ შეფასდა 5 ბავშვი, რადგან ოჯახებმა უარი განაცხადეს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე; სულ განხორციელდა 86 ბავშვის შეფასება.

"ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის" ფარგლებში განაცხადი გააკეთა 6 მოქალაქემ, შეფასდა 19 ბავშვი.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან შემოვიდა 13 შეტყობინება, ვერ შეფასდა 3 ბავშვი, ვინაიდან,

ორშვილიანი დედა იმყოფებოდა დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, ხოლო ერთი მოქალაქე კახეთის რეგიონში. სულ შეფასება გაკეთდა 24 ბავშვის.

სხვა მუნიციპალიტეტიდან (ტყიბული) შემოსული წერილის საფუძველზე ვერ შეფასდა ბავშვიანი ოჯახი, ვინაიდან ტერიტორიულად ქუთაისის მუნიციპალიტეტში არ იმყოფებოდნენ.

თვითმმართვა განახორციელა 22 მოქალაქემ და შეფასდა 41 ბავშვი;

არასამთავრობო ორგანიზაციიდან შემოსული წერილის საფუძველზე შეფასდა 2 ბავშვი, ხოლო სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე 1 ბავშვი;

მეორე დონეზე- სოციალური მუშაკები ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით ახორციელებენ მონიტორინგს 52 ბავშვთან.

კომისიის წევრებს პროგრამებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და ერთხმად მოიწონეს.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე საკრებულოს
მამუკა რიჟამაძე